

კანაფის კანონპროექტის გადავადება არჩევნებს არ უკავშირდება - უმრავლესობა



პარლამენტმა კანაფის კონტროლის შესახებ კანონპროექტის განხილვით თვით გადადო. “ნაციონალური მოძრაობის” ოპოზიციური გაერთიანება “ძალა ერთობაშია” კანონპროექტის განხილვის გადავადებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი მოახლოებული არჩევნების გამო გადაგეს.


გრიგორ ვაშაძის თქმით, მმართველი გუნდი აპირებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გაყარების გზით გაიმარჯვოს და შემდეგ კანაფის კურტივაციის შესახებ ინიციატივა დააკანონოს. ოპოზიციის საპასუხოდ მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ კანონპროექტის განხილვის გადავადება არჩევნებს არ უკავშირდება. მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ საკითხზე ჯერ ფართო კონსულტაციები უნდა გაიმართოს, მათ შორის ეკლესიასთან.

თუმცა განსხვავებული პოზიციები ამ საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობაში ისევ არსებობს. მაგარიტად გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ კანაფის მოყვანა-კურტივაციის პროექტს პარლამენტი მხარს არ დაუჭერს. კანონპროექტის წინააღმდეგია “მწვანეთა მოძრაობის” რიდერი, დეპუტატი გია გარეჩილაძეც. როგორც შს მინისტრი გიორგი გახარია კი აცხადებს, ამ საკითხზე მსჯელობა საზოგადოებასთან კონსენსუსის მიღწევამდე გაგრძელდება და “აღრე იქნება თუ გვიან, მაინც მოგვიწევს რეგულირების კომპონენტის შეტანა ამ სფეროშიც”.

კათოლიკოს პატრიარქის თანამოსაყდრე მეუფე შიომ ამ საკითხთან

დაკავშირებით განაცხადა, რომ საპატრიარქო კანონპროექტის უკან განწევას ელოდება. კანონპროექტი პარლამენტში 14 სექტემბერს დარეგისტრირდა. ახარმა ამბავმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

"ყაზტრანსგაზ - თბილისი" გაიყიდა



ყაზტრანსგაზ
თ ბ ი ლ ის ი
ს ი თ ბ რ და მ ბ რ უ ნ ვ ე ლ ო ბ ა
KazTransGas
T B I L I S I

**„ყაზტრანსგაზ - თბილისის“
მფლობელი მარშალის კუნძულებზე
რეგისტრირებული კომპანია
„ვოლთები“ გახდა.**

ცვლილება საჯარო რეესტრის მონაცემებში უკვე აისახა. შეიცვალა კომპანიის გენერალური დირექტორიც. სანჯარ შოკატაევი ნიკოლოზ ჭიაურდმა შეცვალა.

ყაზახი ინვესტორების გასვრას წინ „ყაზტრანსგაზის“ და საქართველოს მთავრობას შორის არსებული საარბიტრაჟო დავის მორიგებით დასრულება უძლოდა. ინვესტორი 187 მილიონი დოლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. მორიგების დროს, მთავრობამ კომპანიას არსებული დავარიანება ჩამოაწერა, თავის მხრივ ინვესტორმაც “ყაზტრანსგაზ - თბილისი” კომპანიის წინაშე არსებული დავარიანებისგან გაათავისუფლა.

“საზოგადოების ინფორმირებისთვის კომპანია საჭიროდ თვლის განმარტოს, რომ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით

წილის შექმნა ყაზახური მხარის მიერ გასხვისების პროცესის ტექნიკური ნაწილის გამარტივების გამო მოხდა და ჯგუფი შპს ყაბტრანსგამ-თბილისის წილის საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაზე გადმოცემას უახლოვებს მომავალში განახორციელებს.

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლიდან, საქართველოს მთავრობასა და ყაზახურ კომპანიას შორის საერთაშორისო არბიტრაჟში დავა მიმდინარეობდა. დავის საგანი, ყაზახური მხარის მოთხოვნის მიხედვით, ბიანის ანაზღაურება გახლდათ, რომელიც 486 მილიონ დარს აჭარბებდა. ამასთან ერთად, იბრძებოდა შპს აბტრანსგამ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული დავარიანება, რომელიც 96 მილიონი დარი შეადგინა. დამატებით, 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, შპს ყაბტრანსგამ-თბილისს, მფლობელი ყაზახური კომპანიების წინაშე, 347 მილიონ 721 ათას 491 დარის ოდენობის დავარიანება ერიცხებოდა.

კომპანია WALT BAY LTD-ს მიერ ყაზახი ბიზნესმენებისთვის, შპს ყაბტრანსგამ-თბილისის ნასყიდობათვის, წაყენებული წინაპირობა გახლდათ შპს ყაბტრანსგამ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული ვარდებულებებისგან გათავისუფლება და ყაზახი კრედიტორების მხრიდან ყაბტრანსგამ-თბილისისთვის ნასესხები 347 მილიონ დარზე მეტი დავარიანების მოთხოვნის უფლების WALT BAY LTD -სათვის დათმობა, რაზეც ყაზახურმა მხარემ თანხმობა განაცხადა. თუმცა, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ, ყაბტრანსგამ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული დავარიანების პატიების სანაცვლოდ, ყაზახური მხარისგან საერთაშორისო არბიტრაჟში არსებული საქმის საქართველოს სასარგებლოდ მორიგებით დასრულება, ხოლო კომპანია WALT BAY LTD-ს დათმობილ 347 მილიონ დარზე მეტ მოთხოვნაზე უარის თქმა მოითხოვა, რაც საქართველოს მთავრობის განმარტებითვე, მომხმარებელთა დაცვას ემსახურებოდა. კომპანია WALT BAY LTD-მ და ყაზახმა კრედიტორებმა საქართველოს მთავრობის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თანხმობა განაცხადეს, რის სანაცვლოდაც შპს ყაბტრანსგამ-თბილისი გათავისუფლება სახელმწიფოს წინაშე არსებული ვარდებულებისგან.

კომპანია WALT BAY LTD მზადაა მის წინაშე არსებული გამოწვევებისა და დაკისრებული სოციალური პასუხისმგებლობისათვის, რაც მოსახლეობის ბუნებრივი აირით ხარისხიან და უსაფრთხო მომარაგებას

"არასამთავრობოები ძირითადად ნაციონალების მიერა არიან შექმნილი"



დედაქალაქის მერმა ვახა ვარაძე ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არიან შექმნილი, მათი ხედვასმუდები არიან და დღეს ან ხიბრში არიან ან ვაღში.

„ყოფიერ პროკურორს უნდა ახსოვდეს, რომ თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ ადამიანს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, რომ გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ კანდიდატზე. ეს ადამიანები არიან წარსულში ჩარჩენილები, ცდილობენ, დღეს უკვე იმ ადგირიდან, სადაც იმყოფებიან, გარკვეულწილად მოახდინონ ბენოლა საზოგადოებაზე და შეუზღუდონ თავისუფლების გამოსატვის შესაძლებლობა. ჩვენ საზოგადოებამ უნდა მოვახდინოთ კონსოლიდაცია და ჩავტოვოთ იქ, სადაც არიან, თუმცა გრძედვადიან პერსპექტივაში უნდა მივახდინოთ ერის გაერთიანება, ჩვენ არ გვჭირდება დაყოფილი საზოგადოება“, – განაცხადა ვახა ვარაძემ.

არასამთავრობო სექტორი პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემაც გააკრიტიკა და თქვა, რომ ზოგიერთი პოლიტიზირებული პერსონის გამო არასამთავრობო სექტორის იდეა ზიანდება. მან ასევე “რუსთავი 2”-ის გენერალურ დირექტორის ნიკა გვარამიას Facebook-პოსტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას განცხადება ხერმოსარული ფაშისტის განცხადებაა.

შეგახსენებთ, რომ Facebook–პოსტში ნიკა გვარამიამ დაწერა, რომ ყველა ვინც ზურაბიშვილს უჭერს მხარს და მის საარჩევნო კამპანიას აფინანსებს, საზოგადოებამ უნდა დაიმახსოვროს, რომ ისინი “მოდარატის გვერდში მდგომი ხარხია”. ხოლო არასამთავრობოები ირაკლი კობახიძის კრიტიკას მესამე სექტორის დისკრედიტაციის მცდელობად აფასებენ.

ქართული საფოსტო მარკამ ევროპის მარკების კონკურსში მესამე ადგილი მოიპოვა

✘ ქართული საფოსტო მარკა „EUROPA 2018 – ბესღეთის ხიდი“ ევროპის მარკების კონკურსის მესამე ადგილის მფლობელი გახდა. კონკურსში 57 საფოსტო მარკა მონაწილეობდა, ხმის მიცემა კი ონლაინ სპეციალურ ვებგვერდზე მიმდინარეობდა. ინფორმაციას საქართველოს ფოსტა ავრცელებს.

ევროპის საფოსტო გაერთიანების „PostEurop“-ის ეგიდით ყოველწლიურად იმართება ევროპული მარკების კონკურსი, საკონკურსო თემას PostEurop-ის მარკების და ფილატელისტების სამუშაო ჯგუფი ირჩევს.

წრევანდელი კონკურსის თემა ხიდები იყო. შესაბამისად, საქართველოს ფოსტამ კონკურსში წარადგინა ქართული საფოსტო მარკა „EUROPA 2018

– ბესღეთის ხიდი“.

მარკაზე აღბეჭდილია XII საუკუნის ქართული კუდტურის მატერიალური ძეგრი ბესღეთის ხიდი, მას ასევე თამარის ხიდსაც უწოდებენ. ხიდი მდებარეობს სოხუმთან, მდინარე ბესღეთზე, ის ერთმადიანი თაღოვანი ხილია, სიგრძე 35 მ., სიმაღლე 8 მ., ნაგებია კირქვის ფიდეებით დუღაბზე. თაღის ყოველ საპირვე ქვაზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული ასოები, ხოლო დასავლეთ კიდეზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – „ქრისტე მეუფეო ყოვერთა... აღიდე ორთავე შინა სუფევათა უძღვევი მეფეთა მეფე ბაგრატი“. ხილთან აღრე ბესღეთის ციხე იდგა, რომელიც ვიწრო ხეობაში ქაღაქის შემოსასვლელს მთის ტომების თავდასხმებისგან იცავდა. ხიდის თავთან ასევე შემონახული იყო მონუმენტური ქვა-სტედა ქართული ტექსტით, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიკარგა. ბესღეთის ხიდს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული ძეგლის სტატუსი.

ცნობისთვის, ევროპული მარკების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ „PostEurop“-ის წევრი ქვეყნის ეროვნული საფოსტო ოპერატორს, რომელსაც აქვს უფლება სპეციალური საფოსტო მარკის გამოცემის მაილენტიფიცირებელი სიმბოლოთი „EUROPA“.

საქართველოს ფოსტის ცნობით, საფოსტო მარკები „EUROPA“ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მოთხოვნად მარკებს წარმოადგენს, რომელიც სპეციალურად იბეჭდება ევროპის საფოსტო ოპერატორების მიერ „PostEurop“-ის ეგიდით. პირველი საფოსტო მარკა სიმბოლოთი „EUROPA“ 1956 წელს გამოიცა და სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ევროპული მარკების კონკურსს.

**"საუბარი იმაზე, რომ მაია
ოთინაშვილი კარგ პირობებშია,**

არასერიოზულია"



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხედაშვილი მათაოთინაშვილის დაკავების საქმეს ეხმაურება და აცხადებს, რომ დაკავებული ქალი უნდა გათავისუფლდეს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „წითელ ჯვარს“ ჰქონდა დაკავებულის მონახულების შესაძლებლობა და ეს ინფორმაცია მიაწოდა ოჯახს. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ გარკვეული ინფორმაცია გავრცელდა ოსური საინფორმაციო საშუალებებითაც. რა თქმა უნდა, საუბარი იმაზე, რომ ის კარგ პირობებშია და დამის კომფორტურად არის, ეს უკვე სერიოზული არ არის და ძალიან სამწუხაროა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის, რომ მათაოთინაშვილი გათავისუფლებული იქნას რაც შეიძლება მალე. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ცხადია, ყვედასთვის და პირველ რიგში ოჯახისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია და ამასვე ინფორმაცია გარკვეულწილად მიღებულია, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მთავარი არის ის, რომ ის იქნას გათავისუფლებული.

ასევე ჩვენი ინტერესია, რომ აღადმიანებს საკუთარ სახელში და ბაღში ჰქონდეთ გადაადგილების შესაძლებლობა, რომ ოსებსა და ქართველებს, ამ ხელოვნური მავთულხაზებისა და ბარიკადების ორივე მხარეს, ერთმანეთთან მისვლის გზები და გადაადგილების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამასთან, ჩვენს ინტერესშია, რომ მსგავსი აბსოლუტურად მიუღებელი ფაქტები არ ხდებოდეს. ამისთვის ყვედანაირი მუშაობა გაგრძელდება“,- განაცხადა ქეთევან ციხედაშვილმა.

სააგენტო „სპუტნიკ ოსეთია“ საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებული მათაოთინაშვილის ვიდეომასაღა დღეს გაავრცელა. ცხინვალის

მედიასაშუალებები წერენ, რომ „მაია ოთინაშვიდი ჯანმრთელობას არ უჩივის“ , ის ცხინვარის ციხეში ოსმა ჟურნალისტებმა მოინახუდეს .მაია ოთინაშვიდი ცხინვარის იზოლატორში „წითელი ჯვარის“ წარმომადგენლებმაც მოინახუდეს .

რუსმა სამხედროებმა საოკუპაციო ხაზთან გორის რაიონის სოფელ ხურვარეთში მცხოვრები 37 წლის ქალი 29 სექტემბერს დააკავეს. ცხინვარიდან მიღებული ბოლო ინფორმაციით, მაია ოთინაშვიდს 10-დღიანი ე.წ. წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

შემორჩენენ თუ არა სომხეთის ტერიტორიაზე ბანჯგვდიანი დემონი-მონსტრები?



IX ს-ში ვინმე დიონისემ ტერ-მახრედან შექმნა მათიანი, რომლის შინაარსი მეცნიერებს ბოლომდე დღემდეც ვერ ამოუხსნიათ. ამჟამად ეს ხდენაწერი ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება, მისი 6 ფურცელი კი- ბრიტანულ ბიბლიოთეკაში. მასში

მოთხრობილია მოვლენები დაწყებული სამყაროს შექმნიდან ჩვ. წ.ა. 774 წლამდე; ბოლოს კი საკმაოდ საგურისხმო ამბავია აღწერილი.

„ჩვენი წვეთაღრიცხვის 774 წელს ბიზანტიის იმპერატორ დეონ IV გამეფებამდე ქვეყანაში შავი ჭირი მძვინვარებდა, მას შემდეგ კი გამოჩნდნენ საზარელი მხეცები, რომლებსაც არავის და არაფრის ეშინოდათ. არავის გაურბოდნენ და მრავალი ადამიანი მოკვდეს. გარეგნურად მგლებს ჰგავდნენ, პატარა, ვიწრო დრუნჩებით, გრძელი

ყურებით, ხორც ზურგის ტყავი ღორისას მიუგავდათ.

ამ უცნაურმა ცხოველებმა ხოხის მახლობლად, აბდინის კედლის უბანში მცხოვრებ მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენეს. ზოგიერთ სოფელში ასზე მეტი ადამიანი შეჭამეს, სხვა სოფლებში – ოცი, ორმოცი, ორმოცდაათი. ადამიანების არ ეშინოდათ, ამიტომაც მათ ვერ უმკრავდებოდნენ. თუ მათ ესროდნენ, თავს ესხმოდნენ და ნაფრეტებად აქცევდნენ თვადამსხმედს. მონსტრები შემოღობიერ ეზოებსა და სახლებში აღწევდნენ, ბავშვებს იჭერდნენ და თავისკენ მიათრევდნენ; შეწინააღმდეგებას ვერავინ ბედავდა. ღამ-ღამობით ისინი ტერასებზე აღიოდნენ, საწორებიდან მძინარე ბავშვებს იპარავდნენ და შეუფერხებლად ტოვებდნენ ტეროტორიას. მათ დანახვაზე ძაღლებს ყეფვისაც კი ეშინოდათ.

ამის გამო ხარბს ქურიაში გავდა ჯგუფურადაც ეშინოდათ. საზარელმა მონსტრებმა მთლიანად გაანადგურეს რქოსანი პირუტყვი, რადგან ფარაზე თავდასხმისას თითოეულ მონსტრს რამოდენიმე საქონელი მიჰყავდა.

მონსტრებმა დატოვეს ეს მიწები და ერზენენში გადაიხვეწნენ (რაიონი სამხრეთ სომხეთში, ასურეთის საზღვართან), სადაც ყველა სოფელი გააჩანაგეს. ასევე დააცარიერეს ქვეყანა მედიფერკი და მთა კაქაის მიმდებარე ტერიტორიები, ასევე დიდი ზარალი მიაყენეს ამიდას (რომის კოლონია მესოპოტამიაში)“.



აქ ხედნაწერს რამოდენიმე გვერდი აკრია. მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე ამტკიცებდნენ, რომ დიონისემ ტედ-მახრედან საოცარი ზღპარი შეთხზა. კამათობდნენ ასევე იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა მონსტრების აღწერა – ,,ჰქონდათ მათ ზურგზე თევზის

ფარფლის მაგვარი ფაფარი თუ გრძელი ბადანი, როგორც გარეუდ ტახს”.

მრავალი ძველი ქრონიკა შეიცავს მოთხრობებს დემონების შესახებ, რომლებიც თითქმის არსაიდან ჩნდებოდნენ, რათა გაეტაცათ ან გადაესანსდათ მსხვერპლი. ამ დემონებს ხშირად აღწერენ როგორც „შავ არსებებს სიბნელეში მანათობელი თვარებით და ეშმაკეული მზერით.“ საგურისხმოა, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს მონსტრები ძღიერი ჭექა–ქუხიდის დროს ჩნდებოდნენ.

აბატმა რადფმა, ინგლისში ესექსის საგრაფოს ქ. კოგეშიერში მდებარე მონასტრის წინამძღვარმა საკუთარ „ქრონიკებში“ აღწერა გრიგარი, რომელიც 1205 წლის ივნისში, წმ. იოანე ნათლისმცემლის დღეს ამოვარდა და ქადაქში თითქმის ყველაფერი დაანგრია:

„იოანე ნათლისმცემლის წმინდა ღამეს მთერ ინგლისში ქარიშხალი მძვინვარებდა, ქუხდა და უწყვეტად ასხამდა წვიმა. კენტის საგრაფოში, ქ. მეიდსტოუნის მახლობლად მეხმა უცნაური მონსტრი მოკვდა... ამ ურჩხულს უცნობი არსების თავი ჰქონდა, ადამიანის მუცელი, ხორც სხეურის სხვა ნაწილები სხვადსხვა ცხოველის. მისი შავი გვამი ძარიან დამწვარა და ყარდა; ცოტა ვინმემ თუ შეძლო მასთან მიახლოება.“



აბატმა რადფმა კიდევ ერთი შემთხვევა აღწერა, რომელიც 1905 წლის 29 ივნისს, ასევე ჭექა–ქუხიდის დროს მოხდა:

„მთერ ინგლისში მძვინვარებდა ქარიშხალი, საზარდად ქუხდა, ეღავდა – ბევრს ეგონა, რომ საშინელი სამსჯავროს დღე მოვიდა. დიდი რამოდენიმე ადვირას უცნაური მონსტრის ნაკვარევი იპოვეს, მისი დიდი ტერფი ბოროსკენ ვიწროვდებოდა. მსგავსი რამ არავის არასდროს

უნახავს. მოქალაქეები ამტკიცებდნენ, რომ ეს გიგანტური მონსტრების ნაკვადვეი იყო.“

ტუდორების ეპოქის ისტორიკოსმა ჯონ სტოუმ შემდეგი ინციდენტი აღწერა, რომელიც დახლოებით 1538 წელს ღონღონში, კორნხიდის ქუჩაზე მდებარე წმ. მიქაელის ტაძარში მოხდა.

„როდესაც მნათეები სამრეკლოში ბარებს რეკავდნენ, რათა ეშმაკები განედევნათ, სამხრეთის ფანჯრიდან მათთან ადამიანის მსგავსი საზარელი არსება შევიდა და ჩრდილოეთის მხრის ფანჯრიდან გავიდა. შიშიგან მორჩიდები ძირს დაეცნენ და გარკვეული დრო უგონოდ იყვნენ.“

მთარგმნელებმა და ისტორიკოსებმა სტოუს მონათხრობი სკეპტიკურად აღიქვეს. თუმცა, უნდა გავითვადისწინოთ, რომ იმ დროს ბარების რეკვა ბოროტი ძალების სახრებიდან განდევნისთვის ჩვეული ამბავი იყო.

როდესაც იმპერატორმა კარლოს დიდმა ყველა მეზობელი ქვეყანა დაიმორჩილა, მკაცრი კანონები შემოიღო, რათა დემონებს მოსავადი ველარ დაეზიანებინათ; მონასტრებში ისმოდა აბატების აღგზნებული სიტყვა ტყის კაცებზე, რომლებიც კეთილ ბერებს იტაცებდნენ და ბოროტის ნაშიერებს სასტიკ სიკვდილს უქალოდნენ.

840 წელს დიონის მთავარეპისკოპოსმა აგობარდმა აღწერა ამბავი სამი დემონის შესახებ, რომლებსაც ჯერ სამი დღე ქალაქში ბორკიდებით დაატარებდნენ, შემდეგ კი ქვებით ჩაქოლეს. თავის მანუსკრიპტში „ანგლოსაქსური ცრურწმენების დაგმობის შესახებ“, რომელიც რათინურად დაწერა, მთავარეპისკოპოსი ისე დაღადა მოიხსენიებს მთებში მცხოვრებ ბოროტ დემონებს, რომ მონათხრობში მათი აღწერაც არ ჩართო.

როგორც წესი, წარსულის ამბებს ჩვენ თანამედროვე ცხოვრების ჭრილში განვიხილავთ; ჩვენი აზროვნება და ქმედებები დღევანდელი სამყაროთი განისაზღვრება, ამიტომ ყოველთვის ვერ ვახერხებთ იმ ეპოქის გარემოს აღქმას, რომელსაც განვიხილავთ.

"თბილისობა 2018" – ღონისძიებები ხუთ სხვადასხვა ადგილზე გაიმართება



**„თბილისობა 2018“-ის
ფარგლებში დაგეგმილი
ღონისძიებები
დედაქალაქში ხუთ
სხვადასხვა ადგილზე
გაიმართება.**

თბილისის მერმა ვახა კარაძემ დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე „თბილისობა 2018“-ის ფარგლებში, 6 და 7 ოქტომბერს დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

ვახა კარაძის განცხადებით, კურთხურდ-გასართობი ღონისძიებები თბილისში ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება და დედაენის ბაღში, რიყის პარკში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე, ევროპის მოედანსა და რედვთახევში გაიმართება.

„ღონისძიებები, რომელიც „თბილისობა 2018“-ის აღსანიშნავად დედაქალაქში 6 და 7 ოქტომბერს გაიმართება, საკმაოდ დატვირთული იქნება. 6 ოქტომბერს ევროპის მოედანზე შედგება „თბილისური ვოლფვიდის“ პრემიერა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული სცენის ვარსკვლავები ყველა იმ ეთნოსითა და ნიუანსით, რომელიც თბილისს ახასიათებს. სცენაზე მურტიკურტურული თბილისი გაცოცხრდება. „თბილისობის“ დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტი იქნება „გვიდირიჟორე“. სპეციალურად მოწყობილ

სცენაზე განთავსებული ორკესტრი მსმენელს პოპულარულ მელოდიებს შესთავაზებს“, – განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, 7 ოქტომბერს, კონკას მიმდებარე სკვერში, კომპოზიტორ რევამ რაღიმის ბიუსტი გაიხსნება და „ქართული ხმების“ კონცერტი გაიმართება. პირველი რესპუბლიკის მოედანზე კი, თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება და გრანდიოზური გაღა-კონცერტი შედგება, რომელიც ასევე, რევამ რაღიმის შემოქმედებას მიეძღვნება.

„კონცერტს მუსიკაღურად გააფორმებს ევგენი მიქედიაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, ხოლო სცენაზე იდგება ყველა ის მომღერალი, რომელიც სიმღერებს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის რეპერტუარიდან ასრულებს. ასევე, რიყის პარკში მოეწეობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ყვავილების ინსტალაცია, რომლის გარშემოც სხვადასხვა კურინარიული კუთხეები განთავსდება.

სამეიმო ღონისძიებების პროგრამა საკმაოდ საინტერესო იქნება. ამიტომ, მივმართავ ყველას, ვისაც გაუხარდება, მოვიდეს, მოიყვანონ შვირები, შვირიშვირები და „თბილისობა“ ერთად ვიზეიმოთ“, – განაცხადა კახა კარაძემ.

**საქართველოში სტევიას
გამრავლებით დაინტერესდნენ**



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ბუნებრივი დაბადკარორიული დამატკბობედის, სტევიას (Stevia Rebaudiana) ბიოლოგიური მახასიათებლები, მისი უპირატესობები და წარმოების პოტენციალის საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე სტევიას მოყვანის ტექნოლოგიური ინსტრუქცია პროფესორმა ადევო კარანდიამ წარმოადგინა, რომლის განცხადებითაც, მცენარეს არაერთი უპირატესობის გათვადისწინებით, მისი გამოყენება კვების მრეწველობაში სურ უფრო მეტად მიმზიდველი ხდება. სტევია დაბადკარორიული მცენარეა, რომელიც არ შეიცავს ნახშირწყდებს, გაციდებით ტკბილია, ვიდრე სუფრის შაქარი და მისი მიღება დაშვებულია დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვისაც.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დევან დავითაშვიდი ესწრებოდა, რომელიც სტევიას სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, შესაბამის სამსახურებს მცენარის მოვლა-მოყვანის ხედშემწყობი პროგრამის შემუშავება დაავადა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრის მოადგიდე გიორგი ხანიშვიდი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი დევამ ასათიანი და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვდევეთი ცენტრის დირექტორი დევან უჭმაჭურიდე ესწრებოდნენ.

ტაქსის მფდობედებს მანქანის გადადებვის ვაუჩერებს

გადასცემენ



2019 წლის 1 ოქტომბრიდან ტაქსის მძღოლებს თეთრი ფერის მანქანებით მოძრაობის ვადღებულება ექნებათ. ამასთან დაკავშირებით მერია ავტომობილის გადაღების ვაუჩერს გადასცემს ტაქსის იმ მფლობელებს, რომელთაც დიცენზია 10 ოქტომბრამდე ექნებათ, აქვთ

ჩატარებული ტექდათვალიერება, მანქანა კი ოთხკარიანი და მარცხენასაჭიანია.

დედაქალაქის მერის თქმით, ვაუჩერებისთვის თანხა ბიუჯეტიდან არ დაიხარჯება, არამედ გამოცხადდება კონკურსი და ამ კონკურსში გამარჯვებული კომპანია უზრუნველყოფს ტაქსების შეღებვას. სანაცვლოდ კი ამ კომპანიას ექნება უფლება ამ ავტომობილებზე 2 წლის განმავლობაში განათავსოს რეკლამა.

“1 ოქტომბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს უკვე გაცემული აქვს 12000-მდე ნებართვა და ახლაც მიმდინარეობს ნებართვის გაცემა მსურველებზე, ამის პარალელურად, იცით, რომ 1 ოქტომბრიდან, თბილისში უკვე მოძრაობენ რეგისტრირებული, დიცენზიის მქონე ტაქსები და კიდევ ერთხელ შევახსენებ ტაქსის სერვისით განხორციელების მსურველებს, რომ ვინც არ არის დარეგისტრირებული, მათ ამ სერვისის განწევისთვის გამოეწერებათ ჯარიმა 200 ლარი”, – აღნიშნა კარაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე.

საკრებულომ ტაქსების რეგულაციის წესი 27 ივლისს დაამტკიცა. რეგულირების მეორე ეტაპი 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან დაიწყება და საჭისა და კარების გარდა,

ყურადღება ტაქსის ფერსაც მიექცევა.

მომავალი წლიდან პენსია 20 დართით გაიზრდება



საქართველოში პირველი იანვრიდან პენსია 20 დართით გაიზრდება და 200 დარი გახდება. ცვლილებას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს.

მომავალ წელს საპენსიო უზრუნველყოფისთვის 1.925 მილიარდი დარია გათვალისწინებული. მიმდინარე წელს ამ კუთხით დაფინანსება 1.7 მილიარდ დარს შეადგენს.

საქართველოში პენსია 180 დარამდე 2016 წლის ივლისიდან გაიზარდა.

28 სექტემბერს გაირკვა, რომ ბიუჯეტი დაახლოებით 300 მილიონი დართით გაიზრდება. საქართველოს პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე არ გამორიცხავს, რომ განხილვების პროცესში ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი როგორც შემოსავლების, ასევე ვაპიტალური ხარჯების ნაწილში მნიშვნელოვნად დაკორექტირდეს. როგორც პრემიერმა ჟურნალისტებს ამ თემაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, საქართველოს მთავრობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სრული მხარდაჭერა აქვს.

